ოქმი:**ო12.37213631**

თარიღი:**29/12/2021**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2021 წელი, 23 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.გოლიაძე, ქ.ვასაძე, ნ.ნადირაშვილი, ხ.ცერცვაძე, ვლ.ხავთასი, მ.ჩხიკვიშვილი, მ.ვაშალომიძე, ნ.ჭანიშვილი, ნ.სარჯველაძე, გ.სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ.ხომერიკი

თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი, პ.ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ ქ.ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე, უფრო კონკრეტულად შეეხო კომისიის ფუნქციის შესაბამის დასაფინანსებელ პროგრამებსა და დარგებს, ვრცლად კი ამ საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, დაიწყო ძირითადი პარამეტრებითა და სიახლეებით, შემოსავლებითა და ხარჯებით, შემდეგ კი კონკრეტულად განიხილა ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეხებოდა სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვას, სპორტსა და კულტურას, განათლების ხელშეწყობას, ისაუბრა პროგრამულ დაფინანსებაზე, გენდერულ ასპექტებზე, კულტურული და სპორტული ღონისძიებების, მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ -ების დაფინანსებაზე. ამის შემდეგ სხდომა გადავიდა კითხვა -პასუხის რეჟიმში. საკრებულოს წევრმა დ.მდინარაძემ დასვა შეკითხვა 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვთა და ქართული ორთაბრძოლის სახეობის „ხრიდოლის“ სწავლების დაფინანსების თაობაზე, რომლებზეც თანამომხსენებელმა გ. მამაკაიშვილმა გააკეთა განმარტება. კომისიის წევრმა ხ. ცერცვაძემ ითხოვა „დღის ცენტრის“ დაფინანსების გაზრდა, განუმარტეს, რომ მიღწეულია შეთანხმება, დაფინანსების გაზრდაზე მიმდინარე წელს. კომისიის წევრმა მ.ვაშალომიძემ დასვა შეკითხვა განათლების ხელშეწყობის პროგრამაზე, განუმარტეს, რომ ძირითად ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს საჯარო სკოლებში აფინანსებს შესაბამისი სამინისტრო, მცირე

პროექტებს კი მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსავლებით. კომისიის წევრმა ნ.სარჯველაძემ დასვა შეკითხვა რელიგიის დაფინანსებაზე, გ. სირაძემ ითხოვა რაგბის კავშირისათვის დაფინანსების გაზრდა, განუმარტეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ გუნდი გადავა უმაღლეს ლიგაში, შესაბამისად გაიზრდება დაფინანსებაც. პროექტის განხილვის შედეგები შეაჯამა სხდომის თავმჯდომარემ ქ.ხომერიკმა და წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დაეჭირათ ბიუჯეტის პროექტისათვის, რომელსაც კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების კორექტირებული პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი